დანართი №6

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 31 აგვისტოს დადგენილება №422 - ვებგვერდი, 31.08.2026წ.

საკომუნიკაციო ურთიერთობის შესახებ განაცხადის ფორმა

სახელი და გვარი _____

პირადი ნომერი _____

მისამართი (რეგისტრირებული/ფაქტობრივი) _____

_____

ტელეფონის ნომერი _____

ელექტრონული ფოსტა _____

ოჯახის წევრების სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი

სახელი და გვარი	ნათესავური კავშირი	ტელეფონის ნომერი	დაბადების წელი
	დედა		
	მამა		
	და/ძმა		
	მეუღლე		

ვიღებ ვალდებულებას:

1) გამოძახების შემთხვევაში გამოვცხადდე დანიშნულების (უწყებაში/შეტყობინებაში /აქტში მითითებულ) ადგილზე.

2) საკომუნიკაციო ურთიერთობის შესახებ განაცხადის ფორმაში მითითებული რეკვიზიტის შეცვლის შემთხვევაში 2 კვირაში ვაცნობო სააგენტოს აღნიშნული ცვლილების თაობაზე.

ხელმოწერა

„_____“ „_____“ 20 ___ წელი

გაეცანით ყურადღებით!

წვევამდელის უფლებები და ვალდებულებები

- წვევამდელს მოსაკრებლის გადახდის უფლება წარმოეშობა სამედიცინო შემოწმების გასავლელად წვევამდელის მუდმივმოქმედ სამედიცინო საექსპერტო კომისიაში წარგზავნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან და სრულდება წვევამდელის წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. პირს მოსაკრებლის გადახდის უფლებით შეუძლია ისარგებლოს 25 წლის მიღწევამდე.
- წვევამდელს უფლება აქვს წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს გამწვევ კომისიას განცხადებით წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურით შეცვლის შესახებ.
- წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევისთვის თავის არიდების მიზნით პირის გამწვევ კომისიაში გამოუცხადებლობა ან/და სამედიცინო შემოწმების გასავლელად მუდმივმოქმედ სამედიცინო საექსპერტო კომისიაში გამოუცხადებლობა ან მუდმივმოქმედ სამედიცინო საექსპერტო კომისიაში გამოცხადების შემდეგ სამედიცინო შემოწმებისთვის თავის არიდება/მისი გაუვლელობა (მათ შორის, დამატებითი სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებისათვის თავის არიდება/მათი ჩაუტარებლობა) წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 197[1] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რაც იწვევს სასამართლოს მიერ პირის დაჯარიმებას 1000 ლარით. აღნიშნული ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღის ვადით.
- გამწვევ კომისიაზე/სამედიცინო შემოწმების გასავლელად/დამატებითი კვლევის ჩასატარებლად/ სამხედრო ქვედანაყოფში ჩასარიცხად გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში (ავადმყოფობა, რაც დადასტურებულია შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ; პირის (წვევამდელის) ახლო ნათესავის (დედა, მამა, მეუღლე, შვილი, და, ძმა) ან ყოფილი მეურვის/მზრუნველის გარდაცვალება, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტით; სტიქიური მოვლენით გამოწვეული ან სხვა დაუძლეველი გარემოება) წვევამდელი ვალდებულია აცნობოს გამწვევ კომისიას აღნიშნულის შესახებ და წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.
- წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება, მათ შორის, ავადმყოფობის სიმულაციით, სხეულის თვითდაზიანებით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხვაგვარად მოტყუებით, გამოიწვევს სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით 3 წლამდე. აღნიშნული ქმედება, ჩადენილი საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.
- თუ კანონით განსაზღვრული ფორმით გამოძახების შესახებ შეტყობინების/უწყების ჩაბარება ვერ ხერხდება, მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტით უკუკავშირი არ განხორციელდა 2 სამუშაო დღის ვადაში, ან მისი ფოსტის მეშვეობით გაგზავნა შეუძლებელია, სსიპ _ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტო მის ოფიციალურ ვებგვერდზე არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა აქვეყნებს გამოძახების შესახებ შეტყობინებას/უწყებას, რომელიც ჩაბარებულად მიიჩნევა გამოქვეყნებიდან მე-7 კალენდარულ დღეს. ამ შემთხვევაში პირი ვალდებულია მისი წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევისათვის გამოძახების შესახებ შეტყობინების/უწყების ოფიციალურად ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გამოცხადდეს სსიპ _ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოში.